გამწვანების პროექტი



მისამართი: ქ. თბილისი, ლერწმის ქუჩის მიმდებარე ტერიტორია

საკადასტრო კოდი: 01.17.14.003.845

ფართობი: 1434 კვ.მ.
კ-3 = 430,2 (0,3)

მომსახურების ხელშეკრულება

ქ.თბილისი 1 ნოემბერი 2022 წელი

ერთის მხრივ, შ.პ.ს „კონსტრუქშენ გრუპი 2030"-ის დირექტორი თემურ სამუშიას მიერ, (შემდგომში დამკვეთი) და მეორეს მხრივ შ.პ.ს გრინ ვიში (ს/კ 432548479) დირექტორის გელა დემეტრაშვილის სახით, შევთანხმდით შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 შემსრულებელი კისრულობს ვალდებულებას გაუწიოს შემკვეთს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება კერძოდ: ქალაქი თბილისში, ლერწმის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი: 01.17.14.003.845) , უზრუნველყოს 2 ძირი ფოთლოვანი ხის (აილანთუსი : N9 და N11) გადარგვის და 3 წლის განმავლობაში მისი მოვლის სამუშაოები. (შემდგომშო „სამუშაო" ან/და „მომსახურება").

1.2 შემკვეთი კისრულობს ვალდებულებას გადაიხადოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ღირებულება.

2. სამუშაოს შესრულება

2.1 შემსრულებელი ვალდებულია პირადად შეასრულოს სამუშაო, ან დამკვეთთან შეთანხმებით ჩართოს მესამე პირი ნაკისრი ვალდებულების ჯეროვნად შესრულებისთვის.

2.2 შესრულებული სამუშაოს ქ. თბილისის მერიის შესაბამისი სამსახურის დახარვეზების შემთხვევაში შემსრულებელი უზრუნველყოფს სამსახურის მიერ დადგენილ ვადებში ხარვეზის გამოსწორებას საკუთარი სახსრებით.

3. მხარეთა უფლება მოვალეობები

3.1 დამკვეთი ვალდებულია:

3.1.1. დროულად და სრულად გადაუხადოს შემსრულებელს მის მიერ შესრულებული სამუშაოს ღირებულება წინამდებარე ხელშეკრულებაში გათვალისწინებული წესების და პირობების შესაბამისად.

3.1.3 დროულად მიაწოდოს პროექტის შესასრულებლად საჭირო ინფორმაცია.

3.2 დამკვეთი უფლებამოსილია:

3.2.1. შეამოწმოს მომსახურების გაწევის მიმდინარეობა;

3.2.2. მოსთხოვოს შემსრულებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება;

3.3 შემსრულებელი ვალდებულია:

3.3.1. სათანადო ხარისხით და დადგენილ ვადაში განახორციელოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება.

3.3.2. დაიცვას უსაფრთხოების წესები.

3.3.3. შემსრულებელს უფლება აქვს:

3.3.1. მოსთხოვოს დამკვეთს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების დროული გადახდა.

4. სამუშაო დრო, ხელშეკრულების ღირებულება და ანგარიშსწორების წესი

4.1. შემსრულებლის მიერ სამუშაოს შესრულების პერიოდი არის 3 კალენდარული თვე. შემსრულებელს უფლება აქვს სამუშაო დაასრულოს ვადაზე ადრე.

4.2. შემსრულებლის მიერ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულების თარიღად ითვლება მიღება ჩაბარების აქტზე ხელმოწერის დღე.

4.3. სამუშაოს (ხის გადარგვის და 3 წლის განმავლობაში მოვლის) ღირებულება წარმოადგენს 2 500 (ორი ათას ხუთასი) ლარს.

4.4 მხარეთა შორის ანგარიშსწორება წარმოებს უნაღდო ან ნაღდი ანგარიშსწორების სახით.

4.5 დამკვეთის მიერ შესრულებული სამუშაოს ღირებულების გადახდა მოხდება სამუშაოს მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 3 (სამი) კალენდარული დღის განმავლობაში.

4.6 შემსრულებლის საბანკო ანგარიშის ნომერი: GE56BG0000000016214180.

5. მხარეთა პასუხისმგებლობა

5.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების დარღვევისთვის მხარეები პასუხს აგებენ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

5.2. მხარეებს უფლება აქვთ მოითხოვონ მეორე მხარეს ხელშეკრულების მოთხოვნების დარღვევით მისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება;

6. ხელშეკრულების ძალაში შესვლა, შეცვლა და შეწყვეტა

6.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისის ხელმოწერის მომენტიდან.

6.2. ხელშეკრულების შეცვლა დაიშვება მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმებით;

6.3. შემკვეთს უფლება აქვს მომსახურების განხორციელების დასრულებამდე ნებისმიერ დროს უარი თქვას ხელშეკრულებაზე, მაგრამ მან უნდა აუნაზღაუროს შემსრულებელს მის მიერ შესრულებული სამუშაოს ღირებულება.

6.4. შემსრულებელს შეუძლია მომსახურების მოქმედების ვადის დასრულებამდე მხოლოდ ისე შეწყვიტოს ხელშეკრულება, რომ შემკვეთმა შეძლოს მომსახურების სხვაგვარად მიღება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა შეწყვეტისთვის არსებობს რაიმე მნიშვნელოვანი საფუძველი;

7. დაუძლეველი ძალის გარემოება

7.1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისგან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობისთვის, თუ ასეთი შეუსრულებლობა განპირობებული იქნება დაუძლეველი ძალის გარემოებებით;

7.2. დაუძლეველი ძალის გარემოებებს მიეკუთვნება კლიმატური, ტექტონიკური, ტექტოგენური კატასტროფები, სოციალური მღელვარება და სამთავრობო გადაწყვეტილებები, რომლებიც არ არიან დამოკიდებულები მხარეების ნებაზე და მათი თავიდან აცილება ღემატება მხარეების შესაძლებლობებს;

7.3. მხარე, რომლისთვისაც ფორსმაჟორული გარემოებების დადგომის გამო ვალდებულების შესრულება შეუძლებელი შეიქმნა, ვალდებულია გონივრულ ვადაში აცნობოს მეორე მხარეს, არასაპატიო მიზეზით შეუტყობინებლობასა და დაგვიანებული შეტყობინების შემთხვევაში იგი კარგავს უფლებას დაეყრდნოს ფორსმაჟორული გარემოებების არსებობას, როგორც პასუხისმგებლობისგან განთავისუფლების საფუძველს. თუ დაუძლეველი ძალის მოქმედება გრძელდება 15 დღეზე მეტხანს, მხარეებმა უნდა გადაწყვიტონ წინამდებარე ხელშეკრულების ბედი. თუ მხარეები ვერ მიაღწევენ კომპრომისს, დავას განიხილავს სასამართლო.

8. დავათა გადაწყვეტა

8.1. მხარეთა შორის დავის წარმოქმნის შემთხვევაში იგი უნდა გადაწყდეს უშუალოდ შემკვეთსა და შემსრულებელს შორის შემათანხმებელი პროცედურების გზით, შრომის კანონმდებლობით გათვალისწინებული წესების დაცვით;

8.2. თუ დავის დროს შეთანხმება ვერ იქნა მიღწეული 14 კალენდარული დღის განმავლობაში, ან თუ მხარემ თავი აარიდა შემათანხმებელ პროცედურებში მონაწილეობას, მეორე მხარეს უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს;

9. დასკვნითი დებულებანი

9.1. მხარეები ხელშეკრულებაზე ხელმოწერით ადასტურებენ, რომ წინამდებარე ხელშეკრულება არ შეიცავს ბუნდოვან დებულებებს და რომ ისინი სრულად გაეცნენ და მიიღეს აღინშნული პირობები.

9.2. საკითხები, რომლებიც არ არის განსაზღვრული წინამდებარე ხელშეკრულებით, წესრიგდება მოქმედი კანონმდებლობით

9.3. წინამდებარე ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა დაიშვება მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე და დამატებების ხელმოწერის შემდეგ ისინი ითვლებიან ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად;

9.4. ხელშეკრულების ხელმოწერიდან ნებისმიერ დროს ამ ხელშეკრულების რომელიმე დებულების ძალადაკარგულად ცნობა საკანონმდებლო ცვლილებების, სასამართლო გადაწყვეტილების ამ სხვა გარემოების საფუძველზე არ იქონიებს გავლენას წინამდებარე ხელშეკრულების სხვა დებულებების ნამდვილობაზე.

9.5. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ იდენტურ ეგზემპლარად, თითო ყოველი მხარისთვის.

10. მხარეთა რეკვიზიტები

"დამკვეთი"	"შემსრულებელი"
თემურ სამუშია	გელა დემეტრაშვილი
შ.პ.ს „კონსტრუქშენ გრუპი 2030"	შ.პ.ს „გრინ ვიში"
(ს/ნ 405523955)	(ს/კ 432548479)
ხელმოწერა:_____:	ხელმოწერა:_____:

დიდი დიამეტრის მქონე 2 ძირი ფოთლოვანი მწვანე ნარგავების გადარგვის და გახარების ტექნიკური რეგლამენტი

გადასარგავი ხე: N 9 აილანთუსი (Ailantus altisima). **მერქნიანი მცენარე ექვემდებარება გადარგვას და გახარებას.** ნარგავი ჯანსაღი და კარგად განვითარებულია.

მდებარეობა: ქალაქი თბილისი, ლერწმის ქუჩის მიმდებარე ტერიტორია (საკადასტრო კოდი: 01.17.14.003.845)

ზოგადი ნაწილი (აღწერა)



▪ ფესვი - ძირითადი ვეგეტატიური ორგანო, რომლის ფუნქციებს შეადგენს წყლისა და მასში გახსნილი მინერალური ნივთიერებების შეწოვა ნიადაგიდან, მცენარის მიმაგრება ნიადაგზე და ორგანული ნივთიერებათა სინთეზი, ხშირად ფესვი სამარაგო ნივთიერებების სათავსსაც წარმოადგენს და ვეგეტატიურ გამრავლებასაც ემსახურება. ფესვი იყოფა ორ ნაწილად: მთავარღერძიანი და ფუნჯა;

▪ ღერო - ერთ-ერთი ძირითადი ორგანო, რომელიც ფოთლებთან ერთად ყლორტს შეადგენს. აქვს საყრდენი, მიმწოდებელი და დამგროვებელი ფუნქცია.

▪ ვარჯი - ხის ტანის მიწის მიწისზედა განშტოება;

▪ ფოთოლი - მცენარეთა ორგანო, რომელიც ასრულებს ფოტოსინთეზისა და ტრანსპირაციის ფუნქციებს, ახორციელებს აირცვლას გარემოსთან და მონაწილეობს მცენარის ცხოველმოქმედების სხვა პროცესებში.

ნიადაგის მომზადება

დასარგავი ორმოს სიდიდე დამოკიდებულია მცენარის გაბარიტებზე და ასაკზე, სარგავი ორმოს სიგრძე და სიგანე 70 სმ-ით, ხოლო სიღრმე 20-25 სმ-ით მეტი უნდაიყოს ხის კომზე. კომსა და კედლებს შორის სივრცე უნდა შეივსოს ნაყოფიერი ნიადაგის ნაზავით. სარგავი ორმოს ფსკერი უნდა გაფხვიერდეს 15-20 სმ სიღრმეზე, შემდგომ კი მოხდეს 20-25 სმ სისქის ნაყოფიერი ნიადაგის შეტანა. ორმო უნდა დამუშავდეს ფუნგიციდითა და ინსექტო აკარიციდიებით, რათა არ მოხდეს გადარგული ხის სოკოვანი დაავადებებით ან/და პარაზიტებით დაზიანება.

ხის გადარგვის პროცესი

ვინაიდან გადასარგავი მცენარე არის ფოთლოვანი (დიამეტრი - 28 სმ, ორკაპი) გადარგვის დაწყებამდე უნდა მოხდეს ხის სხვლა-ფორმირება და მომზადდეს გადასარგავად, რათა გადაბელილი ფოთლოვნი ხის გადარგვის შემდეგ აქტიურად დაიწყოს ფესვთა სისტემის გაძლიერება, რაც მცენარის გახარებისთვის აუცილებელია. გასხვლის დროს ხის ვარჯს მთლიანად უნდა მოსცილდეს ხმელი და ხმობადი ტოტები, ხოლო ჯანსაღი ტოტების სიგრძე უნდა დამოკლდეს. ვინაიდან ვარჯი მოიხმარს ხის მიერ მიღებული საკვები ნივთიერებების უდიდეს ნაწილს, გასხვლის შემდეგ ეს ნივთირებები ღეროსა და ფესვთა სისტემაზე გადანაწილდება, რაც ხელს შეუწყობს მათ ზრდა-განვითარებას.

ვარჯის გასხვლის შემდეგ, გადასარგავი ხის (N9 აილანთუსი) გარშემო მიწის ფენის მოჭრა მოხდება JCB-ს ტიპის სპეცტექნიკით. ხის გადარგვა მოხდება შეკრული მიწის კომით (გაბარიტები: 1.5X1.5/1.0), კომის შემოჭრის შემდეგ უნდა მოხდეს ჰორიზონტალურად განვითარებული ფესვების სხვლა. გასხლული და კომ შემოჭრილი ხეების აწევა ხდება ავტო-ამწეს მეშვეობით და გადაირგვება წინასწარ გამზადებულ სარგავ ორმოში. ხის გადარგვა ხდება იმავე ტერიტორიაზე (ქალაქი თბილისი, ლერწმის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი: 01.17.14.003.845).



გადაადგილებული ხეების ახალ ორმოში განთავსების შემდეგ, ორმო უნდა ამოივსოს ნაყოფიერი მიწით და უნდა მოხდეს ფესვის ყელის გარშემო ჯამის გაკეთება. გადარგული ხის ღეროს უნდა შემოეხვიოს ჯვალოს ნაჭერი და თოკებით 3 ადგილას მიწაში სობილ რკინის პალოზე უნდა დაებას, რათა შეინარჩუნოს სიმყარე. (იხ. სურათი)

გადარგვის დასრულების შემდეგ, გახარების უზრუნველსაყოფად ხის გარშემო შემოჭრილი ჯამიდან უნდა მოხდეს მორწყვა, 40-50 ლიტრი წყლით. გადარგვიდან პირველი ორი კვირის მანძილზე ხის მორწყვა უნდა მოხდეს კვირაში ორჯერ, ორი კვირის შემდეგ შესაძლებელის მისი მოწყვა კვირაში ერთხელ, სასურველის სეზონის მიხედვით სარწყავ წყალს დაემატოს საკვები ნივთიერებები N.P.K-ს შემცველობით, ან წყალში ხსნადი ბიოსტიმულატორი.

გადასარგავი ფოთლოვანი მწვანე ნარგავის (N 9) დასურათება:

N9. აილანთუსი



გადასარგავი ხე: N 11 აილანთუსი (Ailantus altisima). **მერქნიანი მცენარე ექვემდებარება გადარგვას და გახარებას.** ნარგავი ჯანსაღი და კარგად განვითარებულია.

მდებარეობა: ქალაქი თბილისი, ლერწმის ქუჩის მიმდებარე ტერიტორია (საკადასტრო კოდი: 01.17.14.003.845)

ზოგადი ნაწილი (აღწერა)



▪ ფესვი - ძირითადი ვეგეტატიური ორგანო, რომლის ფუნქციებს შეადგენს წყლისა და მასში გახსნილი მინერალური ნივთიერებების შეწოვა ნიადაგიდან, მცენარის მიმაგრება ნიადაგზე და ორგანული ნივთიერებათა სინთეზი, ხშირად ფესვი სამარაგო ნივთიერებების სათავსსაც წარმოადგენს და ვეგეტატიურ გამრავლებასაც ემსახურება. ფესვი იყოფა ორ ნაწილად: მთავარღერძიანი და ფუნჯა;

▪ ღერო - ერთ-ერთი ძირითადი ორგანო, რომელიც ფოთლებთან ერთად ყლორტს შეადგენს. აქვს საყრდენი, მიმწოდებელი და დამგროვებელი ფუნქცია.

▪ ვარჯი - ხის ტანის მიწის მიწისზედა განშტოება;

▪ ფოთოლი - მცენარეთა ორგანო, რომელიც ასრულებს ფოტოსინთეზისა და ტრანსპირაციის ფუნქციებს, ახორციელებს აირცვლას გარემოსთან და მონაწილეობს მცენარის ცხოველმოქმედების სხვა პროცესებში.

ნიადაგის მომზადება

დასარგავი ორმოს სიდიდე დამოკიდებულია მცენარის გაბარიტებზე და ასაკზე,სარგავი ორმოს სიგრძე და სიგანე 70 სმ-ით, ხოლო სიღრმე 20-25 სმ-ით მეტი უნდაიყოს ხის კომზე. კომსა და კედლებს შორის სივრცე უნდა შეივსოს ნაყოფიერი ნიადაგის ნაზავით. სარგავი ორმოს ფსკერი უნდა გაფხვიერდეს 15-20 სმ სიღრმეზე, შემდგომ კი მოხდეს 20-25 სმ სისქის ნაყოფიერი ნიადაგის შეტანა. ორმო უნდა დამუშავდეს ფუნგიციდითა და ინსექტო აკარიციდიებით, რათა არ მოხდეს გადარგული ხის სოკოვანი დაავადებებით ან/და პარაზიტებით დაზიანება.

ხის გადარგვის პროცესი

ვინაიდან გადასარგავი მცენარე არის ფოთლოვანი (დიამეტრი - 27,3 სმ, სამკაპი) გადარგვის დაწყებამდე უნდა მოხდეს ხის სხვლა-ფორმირება და მომზადდეს გადასარგავად, რათა გადაბელილი ფოთლოვნი ხის გადარგვის შემდეგ აქტიურად დაიწყოს ფესვთა სისტემის გაძლიერება, რაც მცენარის გახარებისთვის აუცილებელია. გასხვლის დროს ხის ვარჯს მთლიანად უნდა მოსცილდეს ხმელი და ხმობადი ტოტები, ხოლო ჯანსაღი ტოტების სიგრძე უნდა დამოკლდეს. ვინაიდან ვარჯი მოიხმარს ხის მიერ მიღებული საკვები ნივთიერებების უდიდეს ნაწილს, გასხვლის შემდეგ ეს ნივთირებები ღეროსა და ფესვთა სისტემაზე გადანაწილდება, რაც ხელს შეუწყობს მათ ზრდა-განვითარებას.

ვარჯის გასხვლის შემდეგ, გადასარგავი ხის (N11 აილანთუსი) გარშემო მიწის ფენის მოჭრა მოხდება JCB-ს ტიპის სპეცტექნიკით. ხის გადარგვა მოხდება შეკრული მიწის კომით (გაბარიტები: 1.5X1.5/1.0), კომის შემოჭრის შემდეგ უნდა მოხდეს ჰორიზონტალურად განვითარებული ფესვების სხვლა. გასხლული და კომ შემოჭრილი ხეების აწევა ხდება ავტო-ამწეს მეშვეობით და გადაირგვება წინასწარ გამზადებულ სარგავ ორმოში. ხის გადარგვა ხდება იმავე ტერიტორიაზე (ქალაქი თბილისი, ლერწმის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი: 01.17.14.003.845).



გადაადგილებული ხეების ახალ ორმოში განთავსების შემდეგ, ორმო უნდა ამოივსოს ნაყოფიერი მიწით და უნდა მოხდეს ფესვის ყელის გარშემო ჯამის გაკეთება. გადარგული ხის ღეროს უნდა შემოეხვიოს ჯვალოს ნაჭერი და თოკებით 3 ადგილას მიწაში სობილ რკინის პალოზე უნდა დაებას, რათა შეინარჩუნოს სიმყარე. (იხ. სურათი)

გადარგვის დასრულების შემდეგ, ხის გახარების უზრუნველსაყოფად ხის გარშემო შემოჭრილი ჯამიდან უნდა მოხდეს მორწყვა, 40-50 ლიტრი წყლით. გადარგვიდან პირველი ორი კვირის მანძილზე ხის მორწყვა უნდა მოხდეს კვირაში ორჯერ, ორი კვირის შემდეგ შესაძლებელის მისი მოწყვა კვირაში ერთხელ, სასურველის სეზონის მიხედვით სარწყავ წყალს დაემატოს საკვები ნივთიერებები N.P.K-ს შემცველობით, ან წყალში ხსნადი ბიოსტიმულატორი.

გადასარგავი ფოთლოვანი მწვანე ნარგავის დასურათება:

N11. აინალთუსი



2 ძირი ფოთლოვანი ხის გადარგვის და გახარების ტექნიკური რეგლამენტი შეადგინა გიორგი კაპანაძემ, რომელიც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 28 ივნისის N 1-369 ბრძანებით დარეგისტრირდა გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის მონაცემთა ბაზაში მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასებაზე დასკვნის გამცემ უფლებამოსილ პირად.

დანართი: 1 გვ ;

შემსრულებელი : გიორგი კაპანაძე

მეტყევე-ექსპერტი: Tel: 593 102844

ელ. ფოსტა: Giokapana14@gmail.com 595 00 00 49



საქართველო

ქ. თბილისი, ლერწმის ქუჩის მიმდებარე ტერ-რია

ს/კ 01.17.14.003.845

მესაკუთრე: შპს "კონსტრუქშენ გრუპი 2030" (405523955)

1434კვ.მ. (სერვ. 261კვ.მ) არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის

გეგმა



პირობითი აღნიშვნები

WGS 1984 -ის კოორდინატთა სისტემის UTMპროექცია

საცხ. შენობა
არასაცხ. შენობა
ფარდული
მშენებარე,დანგრ. შენობა
აუზი
ხეები
ვაზი
გარე განათება
ხის ღობე
სეტკის ღობე
ქვის კედელი
კედელი
ფლატე
რკინიგზა
სამეთვალყურეო ჭები
ონკანი
ანძა, ანტენა
ბოძები
რეზერვუარი
თხრილი
ტრანსფორმატორი, ელ. ქვესადგური
ქვის ღობე
ლითონის ღობე
მთავარი ბოძიფხი
ბოძიფხი სიმაღლეით
ხაზოვანი საჯარო რეგისტრის მონაცემების მიხედვით
მიწის ნაკვეთის სახლვარი
შეზობლის მიწის ნაკვეთის სახლვარი
el.k ელ. ხაზი
ბ გაზი
ელ. გადამცემი ხაზი
მილი
ქარსაცავი ხოლო

შენიშვნა: მიწის სამუშაოების შესრულება უნდა შეთანხმდეს შესაბამის სამსახურებთან

ი/მ "თამარ ალთუნაშვილი"
I/E "Tamar Altunashvili"
ტელ. 568339963
ელ-ფოსტა: tamriko.alt@mail.ru
ქ. თბილისი, შარტავას ქ. №28

დირექტორი:		თ. ალთუნაშვილი
შემსრულებელი		ტ. საანი
დამკვეთი:		

მასშტაბი: 1:500

27.10.2022წ.

№ 158 23 ოქტომბერი 2022 წ.

დ ა ს კ ვ ნ ა

მწვანე ნარგავების (მერქნიანი მცენარეების) სახეობრივი მდგომარეობის, ხარისხობრივი შეფასების და გადარგვის შესახებ

2022 წლის 23 ოქტომბერს მისამართზე: ქალაქი თბილისი, ლერწმის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი: 01.17.14.003.845), რომლის ფართობია 1 434.00 მ^2 , ხოლო მესაკუთრე - შ.პ.ს „კონსტრუქშენ გრუპი 2030“ (საიდენთიფიკაციო ნომერი: 405523955), მეტყევე-სპეციალისტის გიორგი კაპანაძის მიერ (მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასების დასკვნის გამცემი უფლებამოსული პირი, ექსპერტი) შემოწმდა მწვანე ნარგავების სახეობრივი მდგომარეობა და გაკეთდა მათი ხარისხობრივი შეფასება.

სულ ტერიტორიაზე განლაგებულია 47 ძირი ფოთლოვანი მწვანე ნარგავი, მათ შორის 36 ძირი ხილ-კენკროვანია.

წარმოდგენილი გენგეგმის მიხედვით საპროექტო არეალში ფიქსირდება **35** ძირი მწვანე ნარგავი: N7, N8, N9, N10, N11, N12, N14, N15, N16, N18, N19, N20, N21, N22, N24, N25, N26, N27, N29, N30, N32, N33, N34, N35, N36, N38, N39, N40, N41, N42, N43, N44, N45, N46 და N47, აქედან 25 ძირი ხილ-კენკროვანია. დამკვეთს სურვილი აქვს მოჭრას 26 ძირი მწვანე ნარგავი: N7,N8, N12, N14, N15, N16, N18, N19, N20, N22, N24, N25, N26, N27, N29, N30, N32, N33, N34, N35, N36, N38, N39, N40, N41, N43, N44, აქედან 25 ძირი ხილ-კენკროვანია.

დამკვეთს აგრეთვე სურვილი აქვს გადარგოს იმავე საკადასტრო კოდზე **9** ძირი მწვანე ნარგავი: N8, N9, N10, N11,N21, N42, N45, N46 და N47 რომელებიც ჯანსაღია, სწორად განვითარებული და ექვემდებარება გადარგვა და გახარებას.

ცხრილში მოცემულია ქალაქ თბილისში, ლერწმის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი: 01.17.14.003.845) მწვანე ნარგავების (მერქნიანი მცენარეების) სახეობები, ფიზიკური მდგომარეობა და დიამეტრები მიწის ზედაპირიდან 10 სმ სიმაღლეზე:

ცხრილი N 1

ხის №	მერქნიანი სახეობა	დიამეტრი მიწის პირიდან 10 სმ-ზე	ხის მდგომარეობა	შენიშვნა
1	2	3	4	5
1	ალუბალი - Prunus cerasus;	1,1-4	ჯანსაღი	მრავლობითი, ხილ-კენკროვანი

2	ალუბალი - Prunus cerasus;	3.2	ჯანსაღი	ხილ-კენკროვანი
3	ალუბალი - Prunus cerasus;	1,1-4	ჯანსაღი	მრავლობითი, ხილ-კენკროვანი
4	ჭერამი - prunus Armeniaca	19,1	ჯანსაღი	ხილ-კენკროვანი
5	ჭერამი - prunus Armeniaca	11.5	ჯანსაღი	ხილ-კენკროვანი
6	ბროწეული - Punica granatum	2'1-6	ჯანსაღი	მრავლობითი, ხილ-კენკროვანი
7	ალუბალი - Prunus cerasus;	2,1-6	ჯანსაღი	მრავლობითი, ხილ-კენკროვანი
8	აილანთუსი - Ailantus altisima	2,1-4	ჯანსაღი	მრავლობითი, ექვემდებარება გადარგვას
9	აილანთუსი - Ailantus altisima	28	ჯანსაღი	ორკაპი, ექვემდებარება გადარგვას და გახარებას
10	აილანთუსი - Ailantus altisima	2,1-4	ჯანსაღი	მრავლობითი, ექვემდებარება გადარგვას და გახარებას
11	აილანთუსი - Ailantus altisima	27,3	ჯანსაღი	სამკაპი, ექვემდებარება გადარგვას და გახარებას
12	ტყემალი -prunus ssp	15,3	ზეხმელი	ხილ-კენკროვანი, ქარქცეული
13	ბროწეული - Punica granatum	1,1-4	ჯანსაღი	მრავლობითი, ხილ-კენკროვანი
14	ტყემალი -prunus ssp	1,1-4	ხმობადი	მრავლობითი, ხილ-კენკროვანი
15	ვაშლი - Malus ssp	2,1-6	ხმობადი	მრავლობითი, ხილ-კენკროვანი
16	ვაშლი - Malus ssp	2,1-6	ხმობადი	მრავლობითი, ხილ-კენკროვანი
17	ტყემალი -prunus ssp	12.7	ხმობადი	ხილ-კენკროვანი
18	ჭერამი - prunus Armeniaca	20	ჯანსაღი	ხილ-კენკროვანი

19	ტყემალი -prunus ssp	12.4	ჯანსაღი	ხილ-კენკროვანი
20	ჭერამი - prunus Armeniaca	23.5	ჯანსაღი	ხილ-კენკროვანი
21	აილანთუსი - Ailantus altisima	1,1-4	ჯანსაღი	მრავლობითი, ექვემდებარება გადარგვას და გახარებას
22	ტყემალი -prunus ssp	2,1-4	ჯანსაღი	მრავლობითი, ხილ-კენკროვანი
23	ტყემალი -prunus ssp	8,1-10	ჯანსაღი	ხილ-კენკროვანი
24	კარალიოკი - Diospyrus ssp	7.3	ჯანსაღი	ხილ-კენკროვანი
25	ვაზი - Vitis spp	2.5	ჯანსაღი	ხილ-კენკროვანი
26	ვაზი - Vitis spp	3	ჯანსაღი	ხილ-კენკროვანი
27	ქლიავი -prunus ssp	13.2	ჯანსაღი	ხილ-კენკროვანი
28	ვაშლი - Malus ssp	2,1-8	ჯანსაღი	ხილ-კენკროვანი
29	ვაშლი - Malus ssp	7,5	ჯანსაღი	ხილ-კენკროვანი
30	ბროწეული - Punica granatum	1,1-4	ჯანსაღი	ხილ-კენკროვანი
31	ბროწეული - Punica granatum	1,1-6	ჯანსაღი	ხილ-კენკროვანი
32	ჭერამი - prunus Armeniaca	20	ჯანსაღი	ხილ-კენკროვანი
33	ქლიავი -prunus ssp	7.5	ჯანსაღი	ხილ-კენკროვანი
34	ვაშლი - Malus ssp	14	ჯანსაღი	ხილ-კენკროვანი
35	ბროწეული - Punica granatum	1,1-3	ჯანსაღი	ხილ-კენკროვანი
36	ქლიავი -prunus ssp	12.4	ჯანსაღი	ხილ-კენკროვანი

37	ალუბალი - Prunus cerasus;	7	ჯანსაღი	ხილ-კენკროვანი
38	ჭერამი - prunus Armeniaca	15.6	ჯანსაღი	ხილ-კენკროვანი
39	ბროწეული - Punica granatum	12,1-14	ჯანსაღი	ხილ-კენკროვანი
40	ბროწეული - Punica granatum	1,1-4	ჯანსაღი	ხილ-კენკროვანი, ბუჩქი
41	თელა ჩვეულებრივი - Ulmus foliaceae	21	ზეხმელი	ხილ-კენკროვანი
42	აილანთუსი - Ailantus altisima	12,1-14	ჯანსაღი	2 ცალი, ექვემდებარება გადარგვას და გახარებას
43	ქლიავი -prunus ssp	13	ჯანსაღი	ხილ-კენკროვანი, ქარქცეული
44	ქლიავი -prunus ssp	11	ჯანსაღი	ხილ-კენკროვანი, ქარქცეული
45	თუთა -Morus nigra	7,2	ჯანსაღი	ექვემდებარება გადარგვას და გახარებას
46	ამერიკული ნეკერჩხალი - Acer negundo	10.2	ჯანსაღი	ექვემდებარება გადარგვას და გახარებას
47	აილანთუსი - Ailantus altisima	8,3	ჯანსაღი	ექვემდებარება გადარგვას და გახარებას

მწვანე ნარგაობის (მერქნიანი მცენარეების) დასურათება მისი ნომერაციის მიხედვით:

1.



2.



3.



4.



5.



6.



7.



8.



9.



10.



11.



12.



13.



14.



15.



16.



17.



18.



19.



20.



21.



22.



23.



24.



25.



26.



27.



28.



29.



30.



31.



32.



33.



34.



35.



36.



37.



38.



39.



40.



41.



42.



43.



44.



45,



46.



47.



მწვანე ნარგავების (მერქნიანი მცენარეების) ვიზუალური დათვალიერება განახორციელა გიორგი კაპანაძემ, რომელიც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 28 ივნისის N 1-369 ბრძანებით დარეგისტრირდა გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის მონაცემთა ბაზაში მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასებაზე დასკვნის გამცემ უფლებამოსილ პირად.

დანართი: 1 გვ ;

შემსრულებელი : გიორგი კაპანაძე

მეტყევე-ექსპერტი: Tel: 593 102844

ელ. ფოსტა: Giokapana14@gmail.com 595 00 00 49



პირობითი აღნიშვნები

საკადასტრო საზღვარი

არსებული ბუჩქების ნიშნული

არსებული ხეების ნიშნული

მოსაჭრელ-გადასარგავი ხეები

მოსაჭრელი	შესანარჩუნებელი	გადასარგავი	მოიჭრება საკომპენსაციო რგვის ვალდებულებით
12, 13, 14, 15, 16, 17, 18, 19, 20, 22, 23, 24, 25, 26, 27, 28, 29, 30, 31, 32, 33, 34, 35, 39, 40, 41, 43, 44	1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 42, 45, 36, 37, 38	8, 9, 10, 11, 21, 46, 47	41

ზოგადი ინფორმაცია

მისამართი: ქ.თბილისი, ლერწმის ქუჩის მიმდებარე ტერიტორია

საკადასტრო კოდი: 01.17.14.003.845

ფართობი: 1434 კვ.მ.
კ-3 = 430,2 (0,3)

შემსრულებელი კომპანია შპს "ტასჰაბი"

დირექტორი სერგო გიორგაია
დენდროლოგი თეიმურაზ ნაფეტვარიძე

ნახაზის სახელწოდება
მოსაჭრელ-გადასარგავი ხეების გენ. გეგმა

მასშტაბი
1:200

ფორმატი
A3



პირობითი აღნიშვნები

საკადასტრო საზღვარი

საპროექტო დასარგავი ხეები

გადარგული ხეები

დასარგავი სახეობები

№	სახელწოდება	ლათინური სახელწოდება	რაოდენობა
1	ნეკერჩხალი ქორაფი	Acer capadocicum	5
2	ჰიმალაური კედარი	Cedrus deodara	5

გადარგული ხეები

№	8, 9, 10, 11, 21, 46, 47

შენიშვნა

ნახაზზე ყველა ცვლილება უნდა შეთანხმდეს პროექტის ავტორთან.
ნახაზზე ნებისმიერი სახის ცვლილებით ავტომატურად უქმდება პირველადი ვარიანტი.

ზოგადი ინფორმაცია

მისამართი: ქ.თბილისი, ღერწმის ჭუჭის მიმდებარე ტერიტორია

საკადასტრო კოდი: 01.17.14.003.845

ფართობი: 1434 კვ.მ.
კ-3 = 430,2 (0,3)

შემსრულებელი კომპანია შპს "ტასჰაბი"

დირექტორი სერგო გიორგაია
დენდროლოგი თეიმურაზ ნაფეტვარიძე

ნახაზის სახელწოდება

გამწვანების გენ. გეგმა

მასშტაბი

1:200

ფორმატი

A3



ნეკერჩხალი ქორაფი
Acer capadocicum

1



ჰიმალაური კედარი
Cedrus deodara

2

დასარგავი სახეობები

№	სახელწოდება	ლათინური სახელწოდება	რაოდენობა
1	ნეკერჩხალი ქორაფი	Acer capadocicum	5
2	ჰიმალაური კედარი	Cedrus deodara	5

გადარგული ხეები

№	8, 9, 10, 11, 21, 46, 47

შენიშვნა

ნახაზზე ყველა ცვლილება უნდა შეთანხმდეს პროექტის ავტორთან.
ნახაზზე ნებისმიერი სახის ცვლილებით ავტომატურად უქმდება პირველადი ვარიანტი.

ზოგადი ინფორმაცია

მისამართი: ქ.თბილისი, ღერწმის ქუჩის მიმდებარე ტერიტორია

საკადასტრო კოდი: 01.17.14.003.845

ფართობი: 1434 კვ.მ.
კ-3 = 430,2 (0,3)

შემსრულებელი კომპანია შპს "ტასჰაბი"

დირექტორი სერგო გიორგაია
დენდროლოგი თეიმურაზ ნაფეტვარიძე

ნახაზის სახელწოდება
საპროექტო მცენარეთა ფოტოები

ფორმატი
A3

№	მცენარეთა დასახელება		რაოდენობა	ფორმა	სიმაღლე	ღეროს გარშემოწ.	სასიცოცხლო ფორმა	შენიშვნა
1	ნეკერჩხალი ქორაფი	Acer capadocicum	28	Standard	3.00-დან	20/22 სმ	ფოთლოვანი ხე	ფოთოლმცვენი
2	ჰიმალაის კედარი	Cedrus deodara	28	Standard	3.00-დან	20/22 სმ	წიწვიანი ხე	მარადმწვანე

დასარგავი სახეობები

№	სახელწოდება	ლათინური სახელწოდება	რაოდენობა
1	ნეკერჩხალი ქორაფი	Acer capadocicum	5
2	ჰიმალაური კედარი	Cedrus deodara	5

გადარგული ხეები

№	8, 9, 10, 11, 21, 46, 47

შენიშვნა

1. მცენარეები შერჩეულია კლიმატური, დეკორატიული და ურბანული პირობების გათვალისწინებით.
2. მოცემული მცენარის შეცვლა შესაძლებელია ალტერნატიული მცენარეების პროექტის ავტორთან შეთანხმებით ქ. თბილისისთვის რეკომენდირებულიმცენარეების ნუსხიდან.
3. ექსპლიკაციაში არ არის გათვალისწინებული 10 % მცენარეთა დანაკარგი.
4. მცენარეთა ჩარგვისას დაცულ იქნას აგროტექნიკის ნორმები.

ზოგადი ინფორმაცია

მისამართი: ქ.თბილისი, ღერწმის ქუჩის მიმდებარე ტერიტორია

საკადასტრო კოდი: 01.17.14.003.845

ფართობი: 1434 კვ.მ.
კ-ვ = 430,2 (0,3)

შემსრულებელი კომპანია შპს "ტასჰაბი"

დირექტორი სერგო გიორგაია
დენდროლოგი თეიმურაზ ნაფეტვარიძე

ნახაზის სახელწოდება
მცენარეთა ექსპლიკაცია

ფორმატი
A3

დენდროლოგიური პროექტის საინფორმაციო დაფა

შემსრულებელი: შპს "ტასჰაბი"

მისამართი: ქ. თბილისი, ლერწმის ქუჩის მიმდებარე ტერიტორია
საკადასტრო კოდი: 01.17.14.003.845

ნებართვის გამცემი ორგანო : ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური

ფართობი: 1434 კვ.მ.
კ-3 = 430,2 (0,3)

დენდროლოგიური პროექტის შეთანხმების თარიღი :

დენდროლოგიური პროექტის დასრულების თარიღი : 2025 წელი



დასარგავი მცენარეები

1) ნეკერჩხალი ჟორაფი - Acer capadocicum 5 ძირი / სიმაღლე - 3.00-დან. ღეროსბარშემოწ. - 20/22სმ
2) ჰიმალაის კედარი - Cedrus deodara 5 ძირი / სიმაღლე - 3.00-დან. ღეროსბარშემოწ. - 20/22სმ



ახლადდარგული ხე-მცენარეების მოვლაზე პასუხისმგებელი პირი :
შპს "კონსტრუქშენ ბრუპი 2030" ID: 405523955

ახლადდარგული ხე-მცენარეების მოვლის ხანგრძლივობა : 3 წელი